

გერმანიკულ ტომთა მოკლე ისტორია და მათი კლასიფიკაცია

გერმანულმა / გერმანიკულმა / ტევტონურმა ტომებმა (Германские племена, Germanic tribes) და მათმა დიალექტებმა დასაბამი მისცეს თანამედროვე გერმანიკულ ენებს. ამასთან ერთად, ამ ტომებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს თანამედროვე ევროპელი ერების – გერმანელების, ჰოლანდიელების, ფლანდრიელების, დანიელების, შვედების, ინგლისელების და სხვათა ეთნოგენეზში.

გერმანიკული ტომები არ იყვნენ ევროპის პირველი მცხოვრებლები. მათ, სულ ცოტა, სამი რასა უძღოდა წინ. ცოტა რამ არის ცნობილი ევროპის პირველი ადამიანების შესახებ. ინგლისის, საფრანგეთის, შვეიცარიის ბელგიის და სამხრეთ გერმანიის გამოქვაბულებში ამ ადამიანთა ქვის იარაღები შემორჩენილია მხოლოდ ნიადაგის უდაბლეს შრეებში, რომლებიც მომდევნო შრისაგან სტალაქტიტის სქელი ფენითაა გამოყოფილი.

მომდევნო რასა განვითარების გაცილებით მაღალ საფეხურზე იდგა ვიღრე მისი წინამორბედი რასა. ისინი მისდევდნენ მიწათმოქმედებას, ჰყავდათ შინაური ცხოველები (ძაღლი, ცხენი, ცხვარი, თხა, ღორი, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი). მათთვის ცნობილია ხელის სამეთუნეო წარმოება, ძაფის დართვა, ქსოვა. მათი იარაღები, მართალია ისევ ქვისგან არის დამზადებული, მაგრამ კარგადაა დამუშავებული, ნაჯახს ტარი აქვს გაკეთებული, რის გამოც შესაძლებელია მისი გამოყენება ტყის გასაჩეხად. ამ რასის წარმომადგენლები მიცვალებულს მიწაში მარხავდნენ, რის გამოც შემორჩა ამ რასის წარმომადგენლების მრავალი ჩონჩხი და თავის ქალა და მეცნიერებს შეუძლიათ მსჯელობა მათი სხეულის აგებულების შესახებ – საშუალო სიმაღლე (ქალები – დაახლოებით 1,46 მ., მამაკაცები – 1,65 მ.), გრძელი თავის ქალა, დაბალი შუბლი, კეხიანი ცხვირი – ამ რასის უკანასკნელ წარმომადგენლებად თანამედროვე ევროპაში ბასკებს თვლიან.

ამ რასას პირობითად **იბერიულ რასას** უწოდებენ, რადგან ითვლება, რომ ისინი წარმოშობით პირენეს ნახევარკუნძულიდან (ძვ. იბერიის ნახევარკუნძული, Iberia peninsula) არიან.

შემდეგი რასა, რომელიც ევროპაში დასახლდა იყო **კელტური რასა**, ინდოევროპული წარმოშობის ერი, რომელსაც მოყვნენ გერმანელები.

კელტები ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულის I ნახევარში ცხოვრობდნენ რაინის, სენის, ლუარის აუზში და დუნაის სათავეებში. მოგვიანებით ისინი დასახლდნენ თანამედროვე საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის, ავსტრიის, ესპანეთის, ინგლისის, გერმანიის ტერიტორიაზე.

კელტური ენები ორ ჯგუფად იყოფა: **გალო-ბრეტონული** და **გაელური**. გალო-ბრეტონულ ჯგუფში შედის: **გალური** (ძვ. საფრანგეთის ენა), **ბრეტონული**, **უელსური**, **კორნუელსური ენები**.

გაელურ ჯგუფში შედის: **ირლანდიური**, **შოტლანდიური** და **მენური ენები**. კელტურ ენებზე თანამედროვე მსოფლიოში ლაპარაკობენ დიდ ბრიტანეთში, კერძოდ ბრიტანეთის კუნძულებზე გავრცელებულია უელსური ენა, ირლანდიური და შოტლანდიური ენები. კორნუელსური ენა, რომელზეც კორნუოლში ლაპარაკობდნენ (დიდი ბრიტანეთი) XVIII საუკუნიდან მკვდარ ენად ითვლება.


გალური ენა, გალიის ანუ ძველი საფრანგეთის ენა დღეისათვის მკვდარი ენაა.

ბრეტონულ ენაზე ლაპარაკობენ საფრანგეთის ჩრდილოეთში, ბრეტანში. მენური ენა გავრცელებულია მენის კუნძულზე ირლანდიასა და შოტლანდიას შორის.

ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნეში გერმანიკულ ტომებს ეკავათ ევროპის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. მათ მიერ დაკავებული ტერიტორიის დასავლეთი საზღვარი გადიოდა მდ. რაინზე, აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ვისლაზე, სამხრეთი საზღვარი მდ. დუნაიზე, ჩრდილოეთით ამ ტერიტორიას ესაზღვრებოდა ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვები. გერმანელებს აგრეთვე ეკავათ იუტლანდიის ნახევარკუნძული და სამხრეთი სკანდინავია.

პირველი წერილობითი ცნობები გერმანელების შესახებ ეკუთვნის მასილიელ (მარსელელ) ვაჭარს **პითეასს** (ძვ.წ. IV ს.). ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან ცნობები ტევტონების შესახებ უფრო სარწმუნო და დაწვრილებითი ხდება. მათ შესახებ წერს ბერძენი ისტორიკოსი **სტრაბონი**, ბერძენი მწერალი **პლუტარქე**, რომელიც გერმანიკული მოდგმის ხალხებს ახასიათებს როგორც მომთაბარე ტომებს, რომელთა მთავარი მოწოდება ომია.

გერმანიკული ტომების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე **იულიუს კეისარი**, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნის შუა ხანებში გალიაში შეეჯახა მათ. თავის „ჩანაწერებში გალიის ომის შესახებ“ კეისარი უფრო დაწვრილებით, ვიდრე მისი წინამორბედები, აღწერს გერმანიკულ ტომებს, მათ საზოგადოებრივ წყობილებას, მეურნეობას, ყოფას, ბრძოლის ტაქტიკას და სხვა. კეისარმა ორი ექსპედიცია მოაწყო გერმანელების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ დაეპყროთ რაინის მარცხენა სანაპიროები. ძვ.წ. 58 წელს იულიუს კეისარმა დაამარცხა არიოვისტის მეთაურობით რაინს გადასული სვევები, ხოლო ძვ.წ. 55 წელს გერმანიკული ტომები – უზიპეტები და ტენქტერები, რომლებიც განდევნა გალიის ჩრდილოეთი ნაწილიდან.



РАССЕЛЕНИЕ ГЕРМАНОСЛОВ В 1 ВЕКЕ Н.Э. (по З.Н.Енб.С.У. "ГЕРМАНСКОЕ НАМЕНА")

<p>Виндилы (готские племена)</p> <p>Готы</p> <p>Гуртынаби</p> <p>ВаНаам.г</p> <p>СК11Ры</p> <p>Рур1111</p> <p>басрапНби</p>		<p>р143Ы (ОолуОСТРОВНЫЕ Qлр143Ы — KloiMBpbl 14 TeBTONHbl)</p> <p>ХаакН</p> <p>СаКсбо</p> <p>АНма.о</p> <p>Юты (ЗВ. Q03Ы)</p> <p>ХеруСКН</p> <p>ВарНби (?)</p>	<p>Убии</p> <p>Хамавы</p> <p>Бруктеры</p> <p>Сигамбры</p> <p>Тенктеры</p> <p>Узипеты (MenKl'te 14СКЕВОН-)</p> <p>Трибоки (КHe nneMeHa)</p> <p>Вангионы</p> <p>Неметы</p>	<p>Cseabo (наНгобарАbl, weа6bo-aneM3Hb 6aeарубо — MapKo фepMYHABPbr (топ1нгг ХаJТог (recсbo) ХаТТСК <e nneMeHa : 6аТаоbi " хан СКАН.О, НАВbl (r11n</p>
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

იულიუს კეისრის ცნობების თანახმად, გერმანიკულ ტომთა მთავარი საქმიანობა მესაქონლეობა იყო. აშენებდნენ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვს. მიწათმოქმედებას გერმანელები მიმართავდნენ უკიდურეს შემთხვევაში, როგორც კვების დამატებით წყაროს.

უკვე ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ტევტონები ხმარობდნენ რკინისსახნისიან გუთანს, მოჰყავდათ ქერი, ჭვავი, შვრია. ამუშავებდნენ სპილენძის, ვერცხლის, რკინის მადანს. განვითარებული იყო ფეიქრობა, მეთუნეობა.

იმ დროს, როდესაც იულიუს კეისარი შეეჯახა გერმანიკულ ტომებს, ისინი იყვნენ მოძრაობის, გადასახლების პროცესში. ე.ი. კეისრის ეპოქაში ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული გერმანელების გადასახლება მათ ახალ სამშობლოში დუნაის, რაინსა და ჩრდილოეთის ზღვას შორის. ცეზარის ეპოქას დაემთხვა მათ მთავარ ადგილსამყოფელზე გერმანელთა დიდი გადასახლების უკანასკნელი მომენტები. რომაელთა წინააღმდეგობამ რაინზე, ხოლო შემდეგ დუნაიზე ბოლო მოუღო ამ გადასახლებას, აიძულა ტევტონები დაკმაყოფილიყვნენ მათ მიერ უკვე დაკავებული ტერიტორიით და თანდათან გადასულიყვნენ ბინადრობაზე.

ინფორმაციის საიმედო წყარო ძველი გერმანიკული ტომების შესახებ არის რომაელი მწერლის, ისტორიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის – **პლინიუს უფროსის** თხზულებები (23 – 79 წწ.). თხზულებაში „ბუნების ისტორია“ მან სხვა ხალხებთან ერთად აღწერა გერმანელი ტომები და პირველმა მოახდინა მათი კლასიფიკაცია. პლინიუსი დიდხანს ცხოვრობდა გერმანელებთან და ამდენად მისი აღწერა საკუთარ დაკვირვებებს ემყარება.

გერმანელ ტომთა კლასიფიკაცია.

გერმანელი ტომები ანუ ტევტონები სამ ჯგუფად იყოფა: აღმოსავლეთ, დასავლეთ და ჩრდილო გერმანელ ტომებად.

აღმოსავლეთ გერმანელი ტომები – ვინდილები მოიცავდნენ გოთებს, ვანდალებს, ბურგუნდებს და სხვ. ისინი ცხოვრობდნენ გერმანელების მიერ დაკავებული ტერიტორიის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში.

დასავლეთ გერმანელ ტომებს ყოფენ სამ ქვეჯგუფად: **ინგეგონები, ისტეგონები (ისკვეონები), ჰერმინონები.**

ინგეგონები მოიცავდნენ შემდეგ ტომებს: ანგლები, საქსები, იუტები, ხაკები, ფრიზები, კიმბრები და სხვა. ეს ტომები ცხოვრობდნენ გერმანიის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე და იუტლანდიის ნახევარკუნძულზე.

ისტვეონები (ისკვეონები). ამ ტომობრივ ჯგუფში შედიოდნენ: ბატავეები, ბრუქტერები, ტენქტერები, უზიპეტები და სხვა. მოგვიანებით ეს ტომები შეერწყნენ ფრანკების ტომობრივ კავშირს.

ჰერმინონები მოიცავდნენ ხატებს, ლანგობარდებს, სვევებს, მარკომანებს და სხვა.

ჩრდილო გერმანელი ტომები – ჰილვეიონები სკანდინაველ ტომებს წარმოადგენდნენ.

ყველაზე სრული ცნობები ძველი გერმანიკული ტომების შესახებ მოცემულია რომაელი მწერლისა და ისტორიკოსის კორნელიუს ტაციტუსის (55 – 120 წწ.) ნაშრომში „გერმანია“, სადაც მან დაწვრილებით მიმოიხილა გერმანელთა საზოგადოებრივი წყობილება, ყოფა, რელიგია, ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებები.

III საუკუნეში იქმნება გერმანელთა ტომობრივი კავშირები, რომლებიც სახელმწიფოს ჩანასახს წარმოადგენენ. ამავე პერიოდში დაიწყო გვაროვნული წყობილების რღვევა. მიწების გაფართოების სურვილმა, მონებისა და მეზობელი ხალხების მიერ დაგროვილი სიმდიდრეების ხელში ჩაგდების წყურვილმა გამოიწვია გერმანიკულ ტომთა მასობრივი მიგრაცია, რომელმაც მოიცვა ევროპის უზარმაზარი ტერიტორია და რომელიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე (IV – VII სს.) გრძელდებოდა. ამ მიგრაციას ხელი შეუწყო გერმანელთა ტომობრივი კავშირების წარმოქმნამ, რომელიც მრისხანე სამხედრო ძალას წარმოადგენდა და აგრეთვე გვაროვნული წყობილების რღვევამ. გერმანელთა მეზობელი ხალხები, რომლის ტერიტორიაზეც ისინი გადასახლდნენ, უმეტეს შემთხვევაში მათზე გაცილებით მაღლა იდგა მატერიალური კულტურის განვითარების თვალსაზრისით.

გერმანელთა მიგრაცია გახდა ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

ხალხთა დიდი გადასახლება ეწოდება გერმანიკული, სლავური და სხვა ტომების მასიურ შეჭრას რომის იმპერიის ტერიტორიაზე IV – VII საუკუნეებში, რამაც დაახჩარა დასავლეთ რომის იმპერიის დამხობა და მის ტერიტორიაზე ე.წ. ბარბაროსული სამეფოების წარმოქმნა. გერმანელების

საზოგადოებრივ ურთიერთობათა და რღვევის პროცესში მყოფი მონათმფლობელური რომის საზოგადოებრივი წყობილების ურთიერთგავლენამ და შერწყმამ დიდად შეუწყო ხელი ფეოდალიზმის განვითარებას დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

მაშასადამე, ხალხთა დიდი გადასახლების ერთ-ერთი უშუალო შედეგი იყო დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიაზე მონათმფლობელური წყობილების ფეოდალურით შეცვლა და ე.წ. ბარბაროსული სამეფოების წარმოქმნა.

გიორგი მელაძე

ძველ-გერმანიკულ ტომთა ზოგადი კლასიფიკაცია

ცნობებს გერმანიკული ტომების შესახებ უძველესი დროიდანვე ვხვდებით ანტიკურ ავტორებთან. პირველად მათ ბერძენი მოგზაური **პითეასი** (IV-ს. ძვ. წელთ.) იხსენიებს. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად გერმანელებს, ანუ ტევტონებს* ვერ ასხვავებდნენ **კელტური** ტომებისაგან. კელტებისაგან გერმანელები პირველად **იულიუს კეისარმა** გამოყო. ძველ გერმანელებს ანტიკური ავტორები აღწერდნენ როგორც გამბედავ, მეომარ, ახოვან, ქერათმიან და ცისფერთვალება ხალხს. ასე რომ, მათი გარეგნობა ისეთივე ყოფილა, როგორც, როგორც წესი, თანამედროვე გერმანელების, შვედების, ინგლისელების ან პოლანდიელებისათვისაა დამახასიათებელი.


გერმანელების საბრძოლო შემართება, თავგანწირულობა და სიკვდილისადმი გულგრილი დამოკიდებულება ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა რომაელებზე, რომელთაც განსაკუთრებით ხშირად უხდებოდათ ურთიერთობა ტევტონურ ტომებთან. ანდაზად იყო ქცეული გამოთქმა *furor teutonicus* – „ტევტონური მრისხანება“ (ეს გამოთქმა რომაელ პოეტ **ლუკანუს** ეკუთვნის).

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის ანტიკური ავტორები გამოყოფდნენ გერმანიკულ ტომთა სამ დაჯგუფებას: ა) **ჩრდილოურს**: სვიონები, გაუტები, რაუმები, დანები, რუგები, ჰარუდები, აუგანდები და სხვანი – მათი შთამომავლები არიან თანამედროვე სკანდინავიელი ერები: შვედები, დანიელები, ნორვეგიელები, ისლანდიელები და ფარერელები ბ) **დასავლურს**: ხერუსკები, ხავკები, სიგამბრები, ხატები, ჰერმუნდურები და სხვ.; და გ) **აღმოსავლურს**, რომელშიაც შედიოდნენ გოთები, ბურგუნდები, ვანდალები, გეპიდები და ზოგიერთი სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი ტომები. ამ უკანასკნელი ჯგუფის წარმომადგენლები გადაშენდნენ, ან სხვა ხალხებს შეერწყნენ და მათი ენები დღეს მკვდარ ენებად ითვლება (გოთური ენა ბიბლიის გოთურმა თარგმანმა შემოგვინახა, ხოლო დანარჩენი აღმოსავლურგერმანიკული ენებისაგან კი, ზოგიერთი საკუთარი სახელისა და ცალკეული სიტყვების გარდა, თითქმის არაფერია შემორჩენილი). ასე, რომ, დღეისათვის არსებული გერმანიკული ერები და ტომები (ისევე, როგორც თანამედროვე გერმანიკული **ენები**) იყოფიან **ორ** ქვეჯგუფად: ჩრდილოგერმანიკულ (სკანდინავიურ) და დასავლეთგერმანიკულ ქვეჯგუფებად. აღსანიშნავია, რომ უძველესი ცნობებისა და წყაროების

* უნდა ითქვას, რომ ძველად „ტევტონებიცა“ და „გერმანელებიც“ კონკრეტული გერმანიკული ტომების სახელები იყო, მაგრამ, თანდათანობით, ამ ტერმინებმა, მნიშვნელობის გაფართოების შედეგად, ყველა გერმანიკულ ტომთა საერთო სახელწოდების მნიშვნელობა შეიძინა. ამ მნიშვნელობით ტერმინები „ტევტონური“ და „გერმანიკული“ დღესაც იხმარება და მათ სინონიმური მნიშვნელობა აქვთ.

ც რილი N 1

თანამედროვე სკანდინავიელი ერების წინაპარი ძველ-გერმანიკული ტომები



მიხედვითაც გერმანელები **ორ** ჯგუფად (ჩრდილოურ — სკანდინავიურ და კონტინენტალურ — ანუ იმ ჯგუფად, რომელსაც ჩვენ დღეს დასავლურგერმანიკულს ვუწოდებთ) იყოფოდნენ. აღმოსავლურგერმანიკული ტომები ისტორიის ასპარეზზე მას შემდეგ გამოჩნდნენ, რაც ბურგუნდები, გოთები, ვანდალები, გეპიდები და ზოგიერთი სხვა ტომი ჩვენი ერის პირველი წლებისათვის მდინარეების: **ვისლასა** და **ოდერის** ქვემოწელს შორის მდებარე რაიონში დასახლდნენ. მანამდე ისინი **სკანდინავიაში** ცხოვრობდნენ. გოთი ისტორიკოსი **იორდანისი** ცნობითაც გოთები მატერიკზე გადმოსახლებულან კუნძულიდან, რომელსაც იორდანისი **სკანდზას** ან **სკანდიას** (Scandza, Scandia) უწოდებს. ცხადია, რომ საუბარია სკანდინავიაზე, რომელიც ძველად კუნძულად მიაჩნდათ. ასე, რომ თანამედროვე სიტუაცია (მხოლოდ დასავლურ- და ჩრდილოგერმანიკულ ჯგუფთა არსებობა) შეესატყვისება უძველეს მდგომარეობას, ესე იგი მდგომარეობას გერმანელთა ნაწილის, რომელთაც შემდეგ აღმოსავლურგერმანიკული ტომები ეწოდათ, სკანდინავიიდან მატერიკზე **გადმოსახლებამდე**.

ნათესაური კავშირები და სისხლის ალების ჩვეულება. სასაღხო თავყრილობანი-თინგები და პარლამენტარიზმის საწყისები

ძვ. გერმანელთა ჩვეულებების, ცხოვრების ყაიდის შესახებ საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ მათთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნათესაურ გრძნობებს, ნათესაურ

კავშირებს. თანამედროვე შვედების, გერმანელების, ინგლისელების და საერთოდ, ევროპის „გაუცხოების“ სენით შეპყრობილ მკვიდრთაგან განსხვავებით, ძველ ტევტონებს მეტად მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ თავიანთ, თუნდაც საკმაოდ შორეულ ნათესავებთან. ნათესავთათვის ნებისმიერი დახმარების აღმოჩენა, მათი დაღუპვის შემთხვევაში მკვლელზე შურისძიება, მოკლულის სისხლის აღება ძველი გერმანელისათვის ჩვეულებრივი საქმე და უპირველესი მოვალეობა იყო (ამაზე, სხვათა შორის, წერდა ტაციტუსი: იხ. გერმ. 21). საერთოდ, შურისძიება იმ ეპოქაში მცხოვრებთ ხშირად ლამის ცხოვრების აზრად ექცეოდათ ხოლმე, რამდენადაც ტევტონი თავს შეურაცხყოფილად და დამცირებულად, უბრალოდ არასრულფასოვნად გრძნობდა, სანამ ახლობლის ან ნათესავისათვის შურს არ იძიებდა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მკვლელისაგან, ერთგვარი მორალური კომპენსაციის სახით, გარკვეულ (დადგენილ) გამოსასყიდს (ფულის, საქონლის, ან რაიმე სხვა ქონების, სახით) არ მიიღებდა.

შურისძიება მრავალი ისლანდიური საგის და ძველ-გერმანიკული (მათ შორის, ბუნებრივია, სკანდინავიურისაც) თქმულებისა და საგმირო პოემის ძირითად თემას წარმოადგენს. მაგალითად, „უფროსი ედის“ პერსონაჟი - **გუდრუნი** კლავს საკუთარ ქმარს, რომელმაც გუდრუნის ძმები დახოცა — ითვლებოდა, რომ ძმები ქმარზე უფრო ახლობლები არიან (თუმცა ეს არ ამცირებს შურისმაძიებელი ქალის ბედის ტრაგიზმს). სიმპტომატურია (რაც ხშირად აღინიშნება ხოლმე), რომ გერმანულ „თქმულებაში ნიბელუნგებზე“ (**Das Nibelungenlied**), რომელიც იმავე სიუჟეტის უფრო გვიანდელ ვარიანტს წარმოადგენს, **კრიმჰილდი** კლავს უკვე საკუთარ ძმებს, რომლებმაც მისი პირველი ქმარი — **ზიგფრიდი** მოკლეს. ხშირად ესმება ხოლმე ხაზი იმ ფაქტს, რომ ეს მაგალითი ნათლად წარმოაჩენს განსხვავებას წარმართული და ქრისტიანული ეპოქების ადამიანთა მსოფლმხედველობებს შორის.

მსგავსი სულისკვეთება, ერთი შეხედვით, მეტად სახიფათო და დამანგრეველიც კი უნდა ყოფილიყო ძველ გერმანელთა საზოგადოებისათვის, რომელიც საკმაოდ მეზრძოლი, გამბედავი და თავმოყვარე ხალხისაგან შედგებოდა, მაგრამ შურისძიების (და, აგრეთვე, ნებისმიერ სხვა) ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტების სერიოზულ შეხლა-შემოხლასა და შინაომებში გადაზრდას ხელს უშლიდა ტრადიციათა და ჩვეულებათა კომპლექსი, რომლის შესახებაც ნამდვილად ღირს დაწვრილებით საუბარი.

*

ჯერ კიდევ ტაციტუსი წერდა იმის შესახებ, რომ გერმანელებს ჰქონდათ სახალხო თავყრილობები, რომლებზედაც თავისათვის მნიშვნელოვან და საჭირობოროტო საკითხებს განიხილავდნენ ხოლმე (გერმანია 11-12). როგორც უფრო გვიანდელი წყაროებიდანა ხდება ჩვენთვის ცნობილი, ასეთ თავყრილობებს ტევტონები „თინგებს“ უწოდებდნენ (ძვ.-ისლანდ., ძვ.-ინგლ. **þing**; ძვ.-ზემ.გერმ., ძვ.-ნიდერლ. **ding**). თინგს დიდი ძალაუფლება ჰქონდა იმ გერმანიკულ ხალხებთანაც, რომლებსაც მეფეები ჰყავდათ (წარმართულ ნორვეგიაში ერთ-ერთი ასეთი თინგი იყო სახელგანთქმული გულათინგი, რომელიც კუნძულ გულაზე იკრიბებოდა ხოლმე), ასე რომ, ძველ ტევტონთა საზოგადოებრივი წესწყობილება თავიდანვე ატარებდა კონსტიტუციური მონარქიისათვის დამახასიათებელ თვისებებს. ტაციტუსი აღნიშნავდა, რომ გერმანელთა მეფეები უფრო სამხედრო ლიდერები არიან, ვიდრე განუსაზღვრელ უფლებათა მქონე დესპოტები (გერმ. 7). მართლაც, თავად „მეფის“ აღმნიშვნელი სიტყვები არაერთ ძველ-გერმანიკულ ენაში შეიცავენ „ხალხის“, „ტომის“

აღმნიშვნელი სიტყვების ძირებს. შდრ. ძვ.-ინგლ. **cyning**; ნიდერლ. **koning**; ძვ.-ზემ.გერმ. **kuning**; გერმ. **König** და ა.შ. — „მეფე“ და ძვ.-ინგლ. **cyn(n)**; ინგლ. **kin**; ძვ.-ზემ.გერმ. **kunni**; ძვ.-ისლანდ. **kyn**; გოთ. **kuni** — „ტომი“, „მოდგმა“; აგრეთვე ძვ.-ინგლ. **peoden**; ძვ.-ისლანდ. **þjóðann**; ძვ.-საქს. **thiodan**; გოთ. **þiudans** „მეფე“ და ძვ.-ინგლ. **þeod**; ძვ.-ისლანდ. **þjóð**; გოთ. **þiuda** და ა.შ. — „ხალხი“, „ერი“. ამდენად, „მეფის“ აღმნიშვნელი ზემოთმოყვანილი გერმანიკული სიტყვები, საკუთრივ, „ტომის, ხალხის ბელადს“ ნიშნავს. სიმპტომატურია, რომ სკანდინავიაში (შვეცია, დანია, ნორვეგია) მთელი ისტორიის მანძილზე კანონზომიერად წარუმატებლად მთავრდებოდა აბსოლუტური მონარქიის დამყარების ცდები, რამდენადაც სკანდინავიელები მეტად თავისუფლებისმოყვარენი იყვნენ და მათთან ძლიერი იყო დემოკრატიული ტრადიციები.

გერმანიკულმა პარლამენტარიზმმა ყველაზე ფართო მასშტაბი ძველ ისლანდიაში შეიძინა. საქმე ისაა, რომ ისლანდია 870-930 წლებში იქნა დასახლებული იმ, ძირითადად ნორვეგიელი, ემიგრანტებისა თუ კოლონისტების მიერ, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ დესპოტიზმს ნორვეგიელი კონუნგის (მეფის) **ჰარალდ ჰარფაგრისა** (ანუ ჰარალდ თმამშვენიერისა) . ეს უკანასკნელი სიკვდილისა და წამების მუქარით აიძულებდა ნორვეგიელ დიდგვაროვნებს (და არა მარტო მათ) ქრისტიანობა მიეღოთ და უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ მის (მეფის) ნებას. ისლანდიაში დასახლებულ სკანდინავიელ კოლონისტებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ჰქონდათ ადგილობრივი თინგები, ხოლო 930 წელს მათ დააარსეს საყოველთაო თინგი, ანუ **ალთინგი** (**Allþingi**), რომელიც ევროპის უძველეს პარლამენტად ითვლება. ისლანდიის რესპუბლიკის პარლამენტს დღესაც „ალთინგი“ ჰქვია (გარკვეულწილად, ძველ სკანდინავიურ და გერმანიკულ ტრადიციებს უკავშირდება დანიისა (**Folketing**) და ნორვეგიის (**Storting**) პარლამენტების სახელწოდება, რაც სიტყვასიტყვით, შესაბამისად, „სახალხო თინგს“ და „დიდ თინგს“ ნიშნავს). ალთინგზე, რთული პროცესუალური ნორმების სრული დაცვით, განიხილებოდა სხვადასხვა სადავო საკითხები, რომელთაც ადგილობრივ თინგებზე ვერ წყვეტდნენ. ხშირად ეს იყო ქონებრივი დავა, ან რაიმე მატერიალური თუ მორალური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის შემცველი სარჩელი. დებულებდნენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზეც, თუ რა გადასახადი უნდა გადაეხადა მკვლელს მოკლულის უახლოესი ნათესავებისათვის. აღსანიშნავია, რომ ასე მშვიდობიანად მხოლოდ ისეთი მკვლელობის საკითხი შეიძლებოდა მოგვარებულიყო, რომელიც ამკარად, დღისით, მეტ-ნაკლებად პატიოსანი ორთაბრძოლისა თუ შეტაკების შედეგად მოხდებოდა, თანაც მკვლელი ვალდებული იყო იმავე დღეს განეცხადებინა მკვლელობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მას, როგორც „ფარული მკვლელობის“ ჩამდენს, კანონგარეშედ აცხადებდნენ. ხშირად მოკლულის ახლობლები უარს ამბობდნენ გადასახადის აღებაზე და მკვლელზე შურისძიებას ამჯობინებდნენ, მაგრამ, ადრე თუ გვიან, პრაქტიკულად ყველა ასეთი შემთხვევა სრული შერიგებით მთავრდებოდა.

საინტერესოა, რომ ჩაწერილი, წერილობით დაფიქსირებული კანონები ისლანდიაში არ არსებობდა და კანონების ცოდნა და „კანონის კლდიდან“ (ძვ.-ისლანდ. **logberg**) მათი თინგისათვის ზეპირად მოხსენება ევალეობდა ე.წ. „კანონთმეტყველს“ (ძვ.-ისლანდ. **logsogumaðr**), რომელსაც ალთინგის გარეთ არავითარი ძალაუფლება არა ჰქონდა და რომელსაც ალთინგზევე ირჩევდნენ სამი წლის ვადით. სასამართლო გადაწყვეტილება გამოჰქონდათ მოსამართლეებს, რომელთაც მოდავე მხარეები თავისი მეზობლების, ან შემთხვევის ადგილის მეზობლად მცხოვრებთა რიცხვიდან ირჩევდნენ. თითოეული მხარე თორმეტ (ან რამდენიმე „თორმეტულ“ — დუჟინ) მოსამართლეს ნიშნავდა. ასე რომ, პრაქტიკულად, სახეზე იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ადრეული ფორმა. აღსანიშნავია,

რომ საკუთრივ ინგლისური სასამართლო სისტემა სკანდინავიური ტრადიციების ძლიერი გავლენის ქვეშ ჩამოყალიბდა და სწორედ სკანდინავიაგან გადაიღეს ანგლოსაქსებმა თავის დროზე 12 ნაფიცი მსაჯულის დანიშვნის ჩვეულება. — როგორც ცნობილია VIII-XI საუკუნეებში სკანდინავიელები (ძირითადად დანიელები და, აგრეთვე, ნორვეგიელები) სისტემატურად ესმოდნენ თავს ინგლისს და, საერთოდ, ბრიტანეთს და დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში ბრიტანეთისა და კერძოდ, ინგლისის, ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებდნენ.

ალთინგზე დამნაშავედ ცნობილ პიროვნებას გარკვეული თანხის (დანაშაულის სიმძიმის მიხედვით) გადახდას, ან ქვეყნიდან დროებით (3 წლით) ან სამუდამოდ გაძევებას უსჯიდნენ, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი, კანონგარეშედ აცხადებდნენ. კანონგარეშედ გამოცხადებული ადამიანის მოკვლა შეეძლო ყველას, ვინც კი მოისურვებდა. საინტერესოა, რომ ისლანდიაში არ არსებობდა არც ჯარი, არც რაიმე პოლიციის მსგავსი ინსტიტუტი და სასამართლოს გადაწყვეტილებანი თავად მოსარჩელებს მოჰყავდათ სისრულეში.

ალთინგზე ლებულობდნენ ახალ კანონებსაც და განიხილავდნენ მთელი საზოგადოებისათვის საჭირობოროტო და მნიშვნელოვან საკითხებს. სწორედ ალთინგთანაა დაკავშირებული ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა ისლანდიის ისტორიაში, რომლის შედეგებიც ფრიად სასიკეთო გამოდგა, რაოდენ უცნაურიც არ უნდა მოგვეჩვენოს ეს, სკანდინავიური, და საერთოდ, გერმანიკული ფილოლოგიისათვის. საქმე ისაა, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის 1000 წელს ალთინგმა წარმართა და ქრისტიანთა შორის მშვიდობიანი შეთანხმების შედეგად მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ისლანდია ქრისტიანულ ქვეყნად ცხადდებოდა, მაგრამ წარმართებს, თუკი სურდათ, შეეძლოთ ფარულად შეესრულებინათ წარმართული რიტუალები. ამ შეთანხმებით თავიდან იქნა აცილებული ახალი რელიგიის მიერ ძველის დევნა და წარმართობა, ლიტერატურული ტრადიციის სახით, შენარჩუნებული იქნა, განსხვავებით დანარჩენი სკანდინავიის (დანია, შვეცია, ნორვეგია) და, აგრეთვე, სხვა გერმანიკული ქვეყნებისაგან, სადაც წარმართობა და ყველა მასთან დაკავშირებული ჩვეულება თუ ტრადიცია (მათ შორის წარმართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიც) სასტიკად იღვევებოდა გამარჯვებული ქრისტიანობის მიერ.

უდავოა, რომ ყველაფერი, რაც ისლანდიური ალთინგის შესახებ ითქვა, მეტად საყურადღებო და საინტერესოა, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო, განსაცვიფრებელი და, შეიძლება ითქვას, შესაშური ის მაღალი სამართლებრივი თვითშეგნება, რომელიც ისლანდიელთათვის და სხვა სკანდინავიელებისათვის იყო დამახასიათებელი. ძველი სკანდინავიისათვის, კერძოდ ისლანდიელისათვის, სრულებით ცხადია, რომ მისი საკუთარი პრაქტიკული ინტერესებიდან გამომდინარე, არა მარტო სასურველი, არამედ აბსოლუტურად აუცილებელიცაა კანონების შესრულება და მათ მიხედვით ცხოვრება. ისლანდიური საზოგადოებისათვის კანონებისა და კანონიერების მნიშვნელობაზე მიუთითებდა XI საუკუნის გერმანელი საეკლესიო მოღვაწე ადამ ბრემენელი, რომელიც ისლანდიელებზე წერდა: *Apud illos non est rex, nisi tantum lex* (სიტყვასიტყვით: „მათთან არ არის მეფე, არამედ, მხოლოდ კანონი“). კიდევ უფრო საინტერესოა ცნობილი „ნიალის საგის“ (*Njáls saga*) მთავარი პერსონაჟის, ნიალ თორგერსონის სიტყვები: „მშვიდობის დარღვევა არ ეთქმის [...] თუ ერთი კაცი კანონს იყენებს მეორის წინააღმდეგ. განა კანონი არ იცავს ქვეყანას და უკანონობა კი ღუპავს მას?“ *

* ნიალის საგა. თარგმანი გ. ჯაბაშვილისა. თავი 70-ე, გვ. 153. „ნაკადული“. თბილისი 1977.

უფლებას, ვივარაუდოთ ანალოგიური თუ არა, მეტად მსგავსი ჩვეულებების არსებობა სხვა ძველ-გერმანიკული მოდემის ხალხებთან, გარდა ტაციტუსის ზემოხსენებული ცნობისა, გვაძლევს ე.წ. „ბარბაროსთა სამართლის წიგნები“ (Leges barbarorum), რომლებიც ლათინურ ენაზეა შედგენილი სხვადასხვა დროს ჩვენი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის განმავლობაში და წარმოადგენს ძველი გერმანიკული ტომების, ფრანკების, ვესტგოთების, საქსების, ლანგობარდების, ფრიზების, ბურგუნდების და მრავალ სხვათა, კანონთა კრებულებს. მათში, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება ძირითადად გამახვილებულია სხვადასხვა დანაშაულისათვის, მათ შორის მკვლელობისათვის დაწესებულ საზღაურზე, რაც ამჟამად მოგვაგონებს ზემოთ ჩვენ მიერ აღწერილ სკანდინავიურ (ისლანდიურ) სამართლებრივ ტრადიციებს. თავად კანონების ამ კრებულთა ჩაწერის ფაქტიც ძველი გერმანელების მიერ უადრესად მრავლისმეტყველად უნდა ჩაითვალოს და თავისებურად დამახასიათებელიცაა ტევტონთა დამოკიდებულებისათვის კანონებისა და კანონიერების მიმართ.

ცხადია, რომ, როგორც თავად დავრწმუნდით, პრაქტიკულად ყველა ძველი გერმანიკული ტომისათვის დამახასიათებელი პატივისცემა კანონებისადმი, კანონების შესრულების სურვილი და სწრაფვა, როგორც დღეს ვიტყვით, ეცხოვრათ სამართლებრივ საზოგადოებაში, ხელს უწყობდა წესრიგისა და სამართლიანობის დამყარებას ტევტონთა მიერ დაარსებულ სახელმწიფოებში და სტაბილურობას ანიჭებდა მათ, იქნებოდა ეს ნორმანთა საჰერცოგო საფრანგეთში, ანგლოსაქსთა სამეფოები ბრიტანეთში, თუ ვესტგოთთა სახელმწიფო ესპანეთში.

ძველ-გერმანიკული წარმართული პანთეონი

ცნობებს ძველ გერმანელთა ღმერთების შესახებ ვხვდებით როგორც ანტიკურ, ასევე შუა საუკუნეების ავტორთა საისტორიო და სხვა სახის თხზულებებში. ანტიკური (და მათი მიბაძვით, ასევე შუა საუკუნეების) ავტორები გერმანელთა ღმერთებს ბერძნულ-რომაული მითოლოგიის პერსონაჟთა: ჰერკულესის, მარსის, მერკურის და ა.შ. სახელებით მოიხსენიებენ (მაგ. ტაციტუსი „გერმანიის VIII თავში), მაგრამ, საბედნიეროდ, მათში ძნელი არაა ამოცნობა ძველ-გერმანიკული წარმართული პანთეონის ღმერთებისა, რომელთა შესახებაც გაცილებით უფრო სრულ წარმოდგენას სკანდინავიური, ძირითადად, ისლანდიური წყაროები იძლევა. ასე მაგალითად, „ჰერკულესი“ ამჟამად **თორი** (Þórr), კონტინენტალურ გერმანელთა **დონარი** (Donar) ჩანს, „მერკური“ — **ოდინი** (Óðinn) ანუ **ვოდანი**, **ვოტანი** (Wodan, Wuotan) უნდა იყოს, ხოლო „მარსი“ — ძველ სკანდინავთა **ტიური** (Týr), დასავლეთგერმანიკულ ტომთა **ტიუ** ან **ციუ** (Tiw, Ziu). ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისის დროინდელ წყაროებში იმ წარმართულ გერმანიკულ ღვთაებათა მოხსენიება, რომელნიც ანალოგიურები და, პრაქტიკულად, იდენტურები ჩანან ისლანდიაში, არა უადრეს XIII საუკუნისა, ჩაწერილ თქმულებებში მოხსენიებული ღმერთებისა, იმ ფრაგმენტულ ცნობებთან ერთად, რომლებსაც ზოგიერთი შუასაუკუნეობრივი წყაროდან ვღებულობთ, საშუალებას გვაძლევს აღნიშნული წარმართული ღმერთების საერთო-გერმანიკული ხასიათი ვივარაუდოთ.

*

საკუთრივ სკანდინავიური პანთეონი ღმერთების ორი ოჯახისაგან შედგება. ესენი არიან **ასები** (æsir, მხოლოდით რიცხვში — áss) და **ვანები** (vanir), (თუმცა, ხშირად სიტყვა **ასები** ღმერთების **ორივე** ოჯახის აღმნიშვნელ საერთო სახელადაც გამოიყენება). „უფროს ედაში“

მოთხრობილია ასევე და ვანებს შორის ამტყდარ ომზე, რომელიც, საბოლოოდ, შერიგებით დამთავრებულია.

დასავლურგერმანიკული ტომობრივი ჯგუფის დეტალური ანალიზი — ინგვეონები, ისტვეონები, ჰერმინონები და მათი თანამედროვე შთამომავლები

ძველ გერმანელთა კულტურის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ საჭიროდ მიგვაჩნია უფრო დეტალურად შევჩერდეთ ისეთ ურთიერთდაკავშირებულ საკითხებზე, როგორებიცაა დასავლურგერმანიკულ ტომთა დეტალიზებული კლასიფიკაცია და ძველ-გერმანიკულ ტომთა და თანამედროვე გერმანიკული მოდემის ხალხთა ურთიერთმიმართება. ეს კი თუნდაც იმიტომაცაა აუცილებელი და საინტერესო, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გერმანიკული ენებიდან ძირითადად ორი **დასავლურგერმანიკული ენა** — ინგლისური და გერმანული ისწავლება (ეს წიგნიც, ძირითადად, ინგლისური და გერმანული ენების მომავალი სპეციალისტებისთვისაა განკუთვნილი), გარდა ამისა, დასავლურგერმანიკულ ტომთა კლასიფიკაცია, ისევე, როგორც საერთოდ გერმანიკულ ტომთა ისტორიის არაერთი ასპექტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკმაოდ მჭიდროდაა დაკავშირებული **თანამედროვე ტევტონური ენების ისტორიასა და ენებთან**.

დასავლურგერმანიკულ ტომთა კლასიფიკაციის თაობაზე გერმანისტებს შორის დიდი ხანია საკმაოდ ინტენსიური დავა მიმდინარეობს და ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, ზოგადად მაინც გავერკვეთ ამ დავის არსში. საქმე ისაა, რომ ზოგიერთ ლინგვისტს (კ. კარსტიენი, ა. ბახი, ფ. მაურერი) ეჭვი შეაქვს დასავლურგერმანიკული ტომობრივი და ენობრივი ჯგუფის ერთიანობასა და საერთო წარმოშობაში (რალა თქმა უნდა, საერთო-გერმანიკული წარმომავლობის ფარგლებში) და თავად ტერმინ „დასავლურგერმანიკული“ ხმარების მართებულობაში. ამ მკვლევართა აზრით, „დასავლურგერმანიკული“ ჯგუფი იყოფა სამ ჯგუფად — **ინგვეონურ, ისტვეონურ და ჰერმინონულ** ჯგუფებად (ძველ და თანამედროვე ავტორებთან შეიძლება შეგვეზღვეს ამ სახელთა ვარიანტები: ინგვეონები ან ინგვეონები; ისტვეონები, ისტვეონები ან ისკვეონები). ასე იხსენიებდნენ გერმანიკულ ტომთა სხვადასხვა დაჯგუფებებს ვერ კიდევ ანტიკურ დროში (იხ. ტაციტუსი, გერ. 2), ასე რომ, ამგვარი დაყოფა ტრადიციულად შეიძლება იქნეს მიჩნეული. წინამდებარე ნაშრომის თემა არ არის და არც შეიძლება იყოს მსჯელობა და ვარაუდების გამოთქმა იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია დასავლურგერმანიკული ჯგუფის ერთიანობაში ეჭვის შეტანა, მით უმეტეს, რომ თავად ისტორიული და ლინგვისტური მონაცემები ურთიერთგამომრიცხველი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნოთ, თუ ანტიკური ავტორების მიერ მოხსენიებული რომელი ძველი გერმანიკული ტომები შედიოდნენ **ინგვეონთა, ისტვეონთა, და ჰერმინონთა** ტომობრივ დაჯგუფებებში და როგორი იყო ამ ტომების შემდგომი ბედი, ე.ი. ვაჩვენოთ, თუ რომელი ძველი გერმანიკული ტომების შთამომავლები არიან თანამედროვე დასავლურგერმანიკული ერები.*

* თანამედროვე ჩრდილოგერმანიკული, ანუ სკანდინავიური ერების წინაპარი გერმანიკული ტომების შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამ თავის დასაწყისში (იხ. ზემოთ, გვ. ???).

როგორც რამდენიმეჯერ უკვე ითქვა, დასავლურგერმანიკულ ტომებში ძველი ავტორები ასხვავებდნენ სამ დაჯგუფებას: **ინგვეონებს**, **ისტვეონებს** და **ჰერმინონებს** (სკანდინავიელებს ისინი **ჰილვეიონებს**, ხოლო აღმოსავლეთგერმანიკულ ტომებს **ვინდილებს** უწოდებდნენ). **ინგვეონებში** შედიოდნენ ჩრდილოეთის ზღვასთან მცხოვრები ტომები: **ანგლები**, **ფრიზები**, **საქსები**, **საკები**, **იუტები** და სხვანი. ამავ უკვე აკუთვნებენ ხოლმე **კიმბრებს** და **ტევტონებსაც**, რომელნიც, როგორც ზემოთ გაკვრით უკვე აღვნიშნეთ, ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნის ბოლოსათვის იტალიაში შეიჭრნენ და რამდენიმე მტკიცეული დამარცხება მიაყენეს რომაელთა არმიას, თუმცა საბოლოოდ განადგურებულნი იქნენ რომაელ მხედართმთავარ **გაიუს მარიუსის** მიერ.

ინგვეონური ტომები **ანგლები**, **საქსები** და **იუტები** (ზოგი მკვლევარის აზრით კი, ფრიზები), როგორც ცნობილია, მესუთე საუკუნეში (ისტორიული ტრადიციის მიხედვით 449 წელს) შეიჭრნენ რომაელთა ლეგიონების მიერ დატოვებულ ბრიტანეთში,** სასტიკად დაამარცხეს კელტური ტომი — **ბრიტები** (რომელთა შთამომავლებიც დღევანდელი უელსელები და კორნუოლები არიან) და დააარსეს შვიდი ანგლოსაქსური სამეფო, ე.წ. „ჰეპტარქია“ : **საქსებისა** — **უესექსი** (ძვ.-ინგლ. Westseaxe, სიტყვასიტყვით — „დასავლელი საქსები“, **ესექსი** (ძვ.-ინგლ. Eastseaxe — „აღმოსავლელი საქსები“) და **სასექსი** (ძვ.-ინგლ. Sudseaxe — „სამხრეთელი საქსები“); **ანგლებისა** — **მერსია**, **ნორთუმბრია** და **აღმოსავლეთ ანგლია** და **იუტებისა** (ზოგიერთთა აზრით კი **ფრიზებისა**) — **კენტი**.

ანგლოსაქსების მიერ ბრიტანეთის დაპყრობის ამბავი მოთხრობილია ანგლოსაქსი მწიგნობრის **ბედა პატივდებულის** (Beda Venerabilis, ინგლისურად — Bede) მიერ ლათინურად დაწერილ ნაშრომში „ინგლისელი ხალხის საეკლესიო ისტორია“ (Historia ecclesiastica gentis Anglorum).

ანგლოსაქსების მიერ ბრიტანეთის დაპყრობა, ფაქტობრივად, თანამედროვე ინგლისის ისტორიის დასაწყისი იყო. თავად სახელწოდება „ინგლისიც“ — ლათ. Anglia, ძვ.-ინგლ. Engla-lond „ანგლების ქვეყანა“ (> თანამედროვე ინგლ. England) **ანგლების** ტომობრივი სახელწოდებიდან მომდინარეობს.

ინგვეონური ჯგუფის საინტერესო წარმომადგენლები არიან **ფრიზები**. თავის დროზე ეს იყო საკმაოდ ძლიერი და მრავალრიცხოვანი ტომი, რომელსაც გაცილებით უფრო დიდი ტერიტორია ეკავა, ვიდრე დღესდღეობით უკავია. ამჟამად ფრიზების რაოდენობა სულ დაახლოებით 370 ათასი კაცია და ისინი ევროპის ორ სახელმწიფოში — ჰოლანდიასა და გერმანიაში ცხოვრობენ, სადაც ეროვნულ უმცირესობას შეადგენენ. ჰოლანდიაში ფრიზულად ლაპარაკობენ პროვინცია **ფრისლანდში** და მის მიმდებარე კუნძულებზე (დაახლოებით 350 ათასი კაცი). აქაურ დიალექტს, რომელიც ლიტერატურულ ფრიზულ ენას დაედო საფუძვლად, **დასავლურფრიზული** ეწოდება. გერმანიის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთის ორ რაიონში, როგორც მატერიკზე, ასევე კუნძულებზე, გავრცელებულია ფრიზული ენის აღმოსავლური და ჩრდილოური დიალექტები, რომლებზედაც დაახლოებით 20 ათასი კაცი ლაპარაკობს. ფრიზული დიდ სიასლოვეს ამუღანებს ინგლისურ ენასთან (როგორც ფონეტიკურ, ასევე მორფოლოგიურ და ლექსიკურ დონეზე), რაც შეიძლება იმ ვარაუდის მტკიცებად გამოდგეს, რომ სწორედ ფრიზებმა (და არა იუტებმა) მიიღეს მონაწილეობა V საუკუნეში ბრიტანეთის დაპყრობაში. აღსანიშნავია, რომ ინგვეონურ ჯგუფს ხშირად **ანგლო-ფრიზულ** ჯგუფსაც

** V საუკუნემდე ბრიტანეთში სამი რომაული ლეგიონი იდგა: Legio VI. Victrix, Legio XX. Valeria victrix და Legio II. Augusta. ბრიტანეთიდან მათი გაწვევის მიზეზი იმპერიის საერთო კრიზისი გახდა (აჯანყებანი პროვინციებში, შიდა არეულობა, მომთაბარე ტომთა შემოსევანი და ა.შ.).

უწოდებენ. ფრიზებს გარკვეული როლი აქვთ ნათამაშები ნიდერლანდელი ერის *** ჩამოყალიბებაშიც.

საქსების ის ნაწილი, რომელიც არ გადასახლდა ბრიტანეთში და კონტინენტზე დარჩა, გერმანელი ერის შემაღვენლობაში შევიდა (მათი მცირე ნაწილი ნიდერლანდელი ერის ეთნოგენეზშიც მონაწილეობდა). ამ საქსების შთამომავლები არიან გერმანიის ისტორიული პროვინციის, **ქვემო საქსონიის** (Niedersachsen) მცხოვრებლები, რომელნიც გერმანული ენის **ქვემოსაქსურ** (niedersächsisch) დიალექტზე მეტყველებენ. ქვემოსაქსური, **ქვემოფრანკულსა** და **აღმოსავლეთ ქვემოგერმანულთან** ერთად ქმნის გერმანულის ე.წ. **ქვემოგერმანულ** (niederdeutsch, plattdeutsch) დიალექტურ ჯგუფს. აღსანიშნავია, რომ ქვემოფრანკულის (niederfränkisch) გამოკლებით, რომელიც **ისტვეონურ** (იხ. ქვემოთ) ჯგუფს განეკუთვნება, ქვემოგერმანული დიალექტები სწორედ **ინგვეონური** ჯგუფის წარმომადგენლები არიან. ამ დიალექტებში, როგორც ცნობილია, ე.წ. „თანხმოვანთა მეორე გადაწევა“ * არ გავრცელებულა და ამდენად ქვემოგერმანული ფონეტიკურად ნიდერლანდურთან, ინგლისურთან ან შვედურთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე ზემოგერმანულ დიალექტებთან, რომელთა ბაზაზეც ჩამოყალიბდა ლიტერატურული გერმანული (მაგ. სტანდარტული გერმანული [ზემოგერმანული] ფრაზა: Was ist das? – „რა არის ეს?“ ქვემოგერმანულად ჟღერს როგორც Wat is dat? შდრ. ინგლ. what; შვედ. vad; ნიდერლ. wat – „რა“ და ინგლ. that – „ის“; შვედ. det; ნიდერლ. dat – „ის“, „ეს“). პირობითი საზღვარი ზემოგერმანულ და ქვემოგერმანულ დიალექტებს შორის გადის ე.წ. „ბენრატის ხაზზე“ (Benrather Linie), ანუ წარმოსახვით ხაზზე, რომელიც აერთებს ქალაქებს: დიუსელდორფს, მაგდებურგსა და ოდერის ფრანკფურტს. ამ ხაზის ჩრდილოეთით მდებარეობს **ქვემოგერმანული** დიალექტების გავრცელების არეალი, ხოლო სამხრეთით – **ზემოგერმანულებისა**.

როგორც დავრწმუნდით, **ინგვეონურმა** ტომებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს თანამედროვე გერმანიკული ერების ეთნოგენეზში: ინგვეონური ტომების **ანგლებისა** და **საქსების** შთამომავლები არიან დღევანდელი ინგლისელები; **ფრიზების** ინგვეონურმა ტომმა (რომელიც დღესაც განაგრძობს არსებობას ცალკე ეთნოსის სახით) გავლენა მოახდინა ნიდერლანდელი და – სავარაუდოდ, აგრეთვე ინგლისელი ერის ჩამოყალიბებაში; ხოლო კონტინენტზე დარჩენილი **საქსებისა** და აგრეთვე სხვა **ინგვეონური** ტომების შთამომავლები **გერმანელი** ერის დიდ ნაწილს შეადგენენ; ამავე საქსებმა ნიდერლანდელი ერის ეთნოგენეზშიც მიიღეს მონაწილეობა.

ისტვეონებად ძველი ავტორები მოიხსენიებდნენ **ბატავეებს, სამავეებს, ბრუქტერებს, სიგამბრებს, ტენქტერებს** და სხვებს. ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნისათვის ეს ტომები **ფრანკთა** ტომობრივ კავშირში გაერთიანდნენ და ამ დროიდან მოყოლებული, სწორედ **ფრანკებად** (ლათ. Franci) იწოდებიან.

ჰერმინონულ ტომებში, ძველი ავტორების თანახმად, შედიოდნენ **მარკომანები** (მომავალი ბავარები), **ხერუსკები, სატები** (ჰესენელები), **ჰერმუნდურები** (ტიურინგები), **სეგები** (მომავალი შვაბები და ალემანები) და სხვანი. ამავე ჯგუფს აკუთვნებენ ხოლმე **ლანგობარდებსაც**.

*** ე.ი. ჰოლანდიელებისა და ბელგიაში მცხოვრები ფლანდრიელების (de Vlamingen).

* ამ საინტერესო ფონეტიკურ მოვლენას გერმანიკული ენების ლინგვისტური ნიშნებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში განვიხილავთ.

დღესდღეობით **ჰერმინონულ** დიალექტებზე მოლაპარაკე, ჰერმინონული წარმოშობის ტომები ძირითადად ცხოვრობენ შვეიცარიაში (სადაც გერმანულად მოსახლეობის 70% მეტყველებს), გერმანიის სამხრეთ რეგიონებში და ავსტრიაში.

გერმანიკულ ტომთა როლი ევროპის არაგერმანიკული ქვეყნების ისტორიაში


მას შემდეგ, რაც ჩვენ მოკლედ ვისაუბრეთ იმ ძველ-გერმანიკულ ტომებზე, რომლებიც **თანამედროვე** გერმანიკული მოდგმისა და ენის ხალხთა უშუალო წინაპრები არიან, ზედმეტი არ უნდა იყოს (და პირიქით, აუცილებელიცაა), თუნდაც ზერეულად გავეცნოთ იმ ძველი გერმანიკული ტომების ისტორიულ ბედს, რომლებიც ან გადაშენდნენ, ანდა სხვა ერებს შეერწყნენ და მათში გაითქვიფნენ, და რომელთა ენებიც მკვდარ, თუმცა მეცნიერებისთვის ცნობილ ენებად ითვლება (გოთური), ანდა თითქმის უკვალოდაა გამქრალი (ვანდალური, ბურგუნდული, ლანგობარდული და სხვ.).

ამ და სხვა გერმანიკული ტომების ისტორიის თუნდაც ყველაზე ზედაპირული მიმოხილვისას საუბარი მოგვიწევს ე.წ. „ხალხთა დიდ გადასახლებაზე“, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის 4-7-ე საუკუნეებში მიმდინარეობდა და რომლის მთავარი მონაწილენიც სწორედ გერმანიკული ტომები იყვნენ.*

* ანგლოსაქსთა ბრიტანეთში შეჭრა, ტრადიციულად, „ხალხთა დიდი გადასახლების“ ფარგლებში განიხილება ხოლმე, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი უფრო იზოლირებულ, ანტიკურ სამყაროზე გერმანელთა თავდასხმებისაგან განსხვავებულ, მოვლენას წარმოადგენს, რომელიც ბრიტანეთისა თუ ინგლისის ისტორიის ეპიზოდი (თუმცა მეტად მნიშვნელოვანი) უფროა, ვიდრე „ხალხთა დიდი გადასახლების“ ერთ-ერთი ეტაპი თუ ცალკე შემთხვევა, და ამდენად აქ მასზე აღარ შევჩერდებით.

ცხრილი N 2

დასავლურგერმანიკული მოდემის თანამედროვე ერები და მათი წინაპარი
ძველი გერმანიკული ტომები



მესამე საუკუნეშივე, კერძოდ ჩვ.წ. 258 წელს, გოთების ნაწილმა ყირიმის ნახევარკუნძული დაიპყრო. ყირიმი აღმოჩნდა ადგილი, სადაც ყველაზე დიდხანს შემორჩა გოთური ენა და გოთური მოსახლეობა. ზოგიერთი ცნობების მიხედვით, ყირიმელი გოთები ადგილობრივ მოსახლეობაში საბოლოოდ მხოლოდ მეთვრამეტე (!) საუკუნეში გაითქვიფნენ.

ვესტგოთებისაგან გამოყოფის შემდეგ **ოსტგოთებმა** ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში დააარსეს საკმაოდ დიდი სამეფო, რომელსაც მათი მეფის, **ჰერმანარიხის** (ლათ. Hermanaricus) სახელის მიხედვით, „ჰერმანარიხის იმპერიას“ უწოდებენ ხოლმე. ჩვ. წ. 375 წელს, **ჰუნების** თურქულ-მონღოლური ტომის შემოსევის შედეგად, ჰერმანარიხის სამეფო დაეცა. გადმოცემით, ჰუნების მოახლოებით თავზარდაცემულმა ჰერმანარიხმა (იგი ამ დროისათვის ას წელზე მეტი ხნისა იყო), თავი მოიკლა. ეს და ზოგიერთი სხვა დრამატული მოვლენა ტევტონთა ძველი ისტორიისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღწერილია სხვადასხვა გერმანიკული ხალხების ეპოსში: გერმანულ „თქმულებაში ნიბელუნგებზე“ და „ჰილდებრანდის სიმღერაში“, ძვ.-ისლანდიური „უფროსი ედის“ უძველეს სიმღერებსა და სხვა პოეტურ თუ პროზაულ ქმნილებებში.

ვესტგოთები, რომლებსაც გაძლიერებული ჰუნები ავიწროებდნენ, რომის იმპერიის სიღრმისაკენ დაიძრნენ. ამან კიდევ უფრო გაამწვავა პროცესები, რომლებსაც ადრეც ჰქონდა ადგილი (ლაპარაკია სხვადასხვა ტომთა შემოსევებზე რომის იმპერიის საზღვრებზე) და დასაწყისი მისცა მოვლენათა იმ წყებას, რომელსაც ეწოდება კიდევაც „ხალხთა დიდი გადასახლება“. ამ პროცესებში თანდათან ჩაერთნენ სხვადასხვა მონღოლოიდური (ჰუნები, ავარები), სლავური (ანტები, სკლავენები), ირანული (ალანები, სარმატები), აგრეთვე, დასავლურგერმანიკული ტომები (ფრანკები, ალემანები, მარკომანები) და სხვა, როგორც გერმანიკული, ასევე არაგერმანიკული მოდგმის ხალხები, რომელთაგანაც რომის იმპერიას სულ უფრო და უფრო უჭირდა თავის დაცვა. საბოლოოდ, ბრძოლა ზემოთ ჩამოთვლილ ტომებსა და რომს შორის დასავლეთ რომის იმპერიის დაცემით დამთავრდა. — რომი რამდენიმეჯერ იქნა აღებული **ვესტგოთების** (410 წ.), **ვანდალების** (455 წ.) და ბოლოს **ოსტგოთების** (490 წ.) მიერ, რის შემდეგაც, დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიაზე დაარსდა სახელმწიფოები, რომლებიც დღესაც განაგრძობენ არსებობას (ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი).

ჰერმანარიხის სამეფოს დაცემის შემდეგ **ოსტგოთები** ცვალებადი წარმატებით ცდილობდნენ ჰუნებისაგან თავის განთავისუფლებას. მას შემდეგ, რაც **კატალაუნის ბრძოლაში*** (451 წ.) ჰუნები დაამარცხა რომაელების, გალების, ვესტგოთებისა და ფრანკების გაერთიანებულმა არმიამ, რომელსაც სახელგანთქმული რომაელი სარდალი **ფლავიუს აეციუსი** (Flavius Aetius) ხელმძღვანელობდა, განსაკუთრებით კი ჰუნების ბელად **ატილას** (Attila) სიკვდილის შემდეგ (453 წ.), **ოსტგოთებმა** საბოლოოდ დააღწიეს თავი ჰუნების ბატონობას. 489 წელს, თავისი ლეგენდარული მეფე **თეოდორიხის** (Theodoricus) მეთაურობით, ოსტგოთები იტალიაში შეიჭრნენ და 493 წ. დააარსეს იქ გოთური სახელმწიფო, რომლის დედაქალაქიც **რავენა** (ჩრდილოეთ იტალიაში) იყო.** თეოდორიხი ქვეყანას რომაელი ხალხისა და სენატის სახელით მართავდა, პატივს სცემდა რომაულ კანონებსა და ტრადიციებს და სამართლიანი მეფის სახელი ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ თეოდორიხი და მისი მემკვიდრეები, ისევე როგორც, საერთოდ, გოთები, იტალიის ადგილობრივი მოსახლეობის დიდი სიყვარულითა

* ეს მართლაცდა ეპიკური ბრძოლა, რომლის მოგებითაც ევროპის თავისუფალმა ხალხებმა დაიცვეს თავისი სამშობლო და თავისუფლება, გაიმართა **კატალაუნის მინდორებზე** (campi Catalaunici), ვრცელ ველზე **გალიაში** (თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიაზე, პარიზის ჩრდილო-აღმოსავლეთით). ამავე ველზე მდებარეობდა ქალაქი **კატალაუნი** (Catalaunum), თანამედროვე **შალონ-სიურ-მარნი** (Châlons-sur-Marne), რომლის სახელიდანაც მომდინარეობს კიდევ ზ.ა. ტოპონიმი.

** თეოდორიხი იტალიაში შეიჭრა 489 წელს, 490 წელს იგი ცნო რომის სენატმა, ხოლო 493 წელს თეოდორიხმა აიღო ქალაქი **რავენა**, სადაც გერმანელი უზურპატორი **ოდოაკრი** იყო გამაგრებული, და დაიკავა იტალიის მთელი ტერიტორია.

და მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ეს განსაკუთრებით კარგად გოთების ბიზანტიასთან ომის დროს გამოჩნდა, როდესაც გოთების არმიის რიგებს ათასობით იტალიელი მოხალისე ავსებდა.

ოსტგოთების სამეფოს იტალიაში დიდხანს არ უარსებია. 555 წელს იგი გამოჩენილმა ბიზანტიელმა მხედართმთავარმა **ველიზარიუსმა** (Belisarius) გაანადგურა. საინტერესოა, რომ იტალიაში გოთებსა და ბიზანტიელებს შორის გამართული ბრძოლების უმუშალო მოწმე იყო ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსი **პროკოპი კესარიელი**, რომელიც ველიზარიუსის ლაშქარს ასლდა თან.

ამის შემდეგ ვესტგოთებმა მათი პირველი მეფის, **ალარისის** (Alaricus) ხელმძღვანელობით შეძლეს რომის აღება (410 წლის 14 აგვისტოს). შემდგომში ისინი გალიასა და ესპანეთში შეიჭრნენ, სადაც 418 წელს ჩვ.წ. დააარსეს ტულუზის სამეფო; თუმცა **ვოგლადის ბრძოლაში** დამარცხების შემდეგ იძულებულნი იყვნენ გალია **ფრანკებისათვის** დაეთმოთ. საინტერესოა, რომ ამ დროისთვისაც ვესტგოთებს რომის მოკავშირეების სტატუსი ჰქონდათ და ნომინალურად ითვლებოდა, რომ ისინი რომის პროვინცია **ესპანეთს** (Hispaniae) იცავდნენ ფრანკებისაგან, რომლებიც ნომინალურადაც არ ემორჩილებოდნენ რომს.

ესპანეთში ვესტგოთების შეჭრით იწყება დღესაც არსებული სახელმწიფოს — ესპანეთის სამეფოს (ოფიციალურად ესპანეთი კონსტიტუციურ მონარქიას წარმოადგენს) ისტორია. თანამედროვე ესპანეთის პირველი მეფეები სწორედ ვესტგოთები იყვნენ და თუ დღეს ესპანეთის მეფე **ხუან კარლოსია**, პირველი მეფე გოთი **თიუდისი** (Thiudis) იყო, რომელიც ქვეყანას 531-548 წლებში მართავდა. ესპანეთის მოსახლეობაც, ძირითადად, რომანიზებული იბერებისა და ვესტგოთი დიდებულების შთამომავლებისაგან შედგება. ხშირად აღნიშნავენ ხოლმე, რომ ვესტგოთების სამეფომ ესპანეთში არსებობა შეწყვიტა 711 წელს, მას შემდეგ, რაც ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი (ძირითადად, სამხრეთი რეგიონები) აფრიკიდან შემოჭრილმა არაბებმა (ე.წ. „მაჯრებმა“) დაიპყრეს. მაგრამ ესპანეთში არაბების შეჭრა არ ნიშნავდა ვესტგოთების, როგორც ეთნოსის, აღსასრულს. მართალია ქვეყნის სამხრეთი რამდენიმე საუკუნით არაბთა ხელში აღმოჩნდა, მაინც ქვეყნის ჩრდილოეთი (**ასტურიისა და ნავარის** პროვინციები) თავისუფალი დარჩა, და სწორედ აქედან ესპანეთის ფეოდალები (რომელთა უმრავლესობასაც კვლავინდებურად ვესტგოთები შეადგენდნენ) და ესპანელი ხალხი მრავალი ათწლეულის მანძილზე ახორციელებდნენ ქვეყნის გასათავისუფლებლად გამიზნულ სამხედრო ოპერაციებს, რომლებიც ისტორიაში **რეკონკისტის** (ესპ. Reconquista — „ხელახალი დაპყრობა“, „ბრძოლით დაბრუნება“) სახელით შევიდა. **რეკონკისტა** ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ესპანეთიდან არაბების სრული განდევნით დასრულდა XV საუკუნეში. ჩვენთვის საყურადღებოა ის გარემოება, რომ არაერთ ისტორიულ ნაშრომში ფეოდალები, რომლებიც **რეკონკისტას** ახორციელებდნენ, კვლავაც ვესტგოთებად იხსენიებიან. მართლაც, ესპანეთში არაბების შეჭრის გამო გოთები ესპანეთის რეალობიდან არ გაქრებოდნენ და თუ მათ საბოლოოდ ასიმილაცია განიცადეს და რიცხობრივად აღმატებულ (ვესტგოთები ესპანეთის მოსახლეობის 3-4 პროცენტს შეადგენდნენ) რომანიზებულ მოსახლეობაში გაითქვიფნენ, არაბები აქ არაფერ შუაში არ არიან. საქმე, ამ შემთხვევაში, გვაქვს ბუნებრივ პროცესთან და გოთების ბედი ესპანეთში იგივე იყო, როგორც ფრანკებისა რომანიზებულ გალიაში ან, ვთქვათ, ნორმანებისა ინგლისში.

ესპანეთში ვესტგოთების შეჭრის შესახებ საუბრისას გამოვყოფდით ერთ მომენტს: ესპანეთი (იბერია) საკმაოდ ძველი და მაღალი ცივილიზაციის ქვეყანა იყო როგორც რომაულ ოკუპაციამდე, ასევე რომის პროვინციად ქცვისა და ძლიერი რომანიზაციის დროსაც, მაგრამ

პოლიტიკური სტაბილურობა ამ ქვეყნისათვის ნამდვილად არ იყო დამახასიათებელი — აჯანყებები, ომები, მომთაბარე ტომთა თუ, უბრალოდ, დამპყრობთა არმიების შემოსევანი აქ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მხოლოდ ვესტგოთებმა შეძლეს შეექმნათ იბერიის ნახევარკუნძულზე პოლიტიკურად სტაბილური, ძლიერი და თავდაცვისუნარიანი სახელმწიფო, რომელმაც გაუძლო, როგორც იტყვიან ხოლმე, ისტორიის ყველა ქართველს და დღესაც განაგრძობს არსებობას ესპანეთის სამეფოს სახით. მაგალითები ევროპის არაერთი ქვეყნის ისტორიიდან, რომელთაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ, დაგვარწმუნებს, რომ ეს სრულებითაც არ იყო შემთხვევითი .

აღსანიშნავია, რომ ესპანეთში მრავალი ტოპონიმი და თვით საკუთარი სახელი გერმანიკული (გოთური) წარმოშობისაა. ასე მაგალითად, გავრცელებული ესპანური მამაკაცის საკუთარი სახელი **Rodrigo** (< ლათინიზებული გერმანიკ. Rodericus) მომდინარეობს გოთური სიტყვებიდან **hrops** — „გამარჯვება“ და **reiks** — „მეუფე“, „ბატონი“, „მეფე“.* მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

*

VI საუკუნეში **ლანგობარდები**, ისევე როგორც მანამდე სხვა გერმანიკული ტომები, სამხრეთისაკენ დაიძრნენ და ჩვ.წ. 546 წელს **პანონიაში** დასახლდნენ, სადაც **ავარებთან** ერთად 576 წელს **გეპიდების** აღმოსავლეთგერმანიკული ტომის სამეფო გაანადგურეს. 568 წელს ლანგობარდები მეფე **ალბოინის** (Alboin) მეთაურობით შეიჭრნენ იტალიაში და დაიკავეს ქვეყნის ჩრდილო ნაწილი და **ტუსცია** (Tuscia), თანამედროვე **ტოსკანა** (Toscana). აქ მათ დააარსეს ლანგობარდთა სამეფო, რომლის დედაქალაქიც იყო **ქ. პავია** (Pavia). შემდეგ მათ დაიკავეს **სპოლეთო** და **ბენევენტო**, რომლებიც მოგვიანებით დამოუკიდებელ ლანგობარდულ საჰერცოგოებად იქცნენ. ლანგობარდთა სამხედრო წარმატებებს ისიც უწყობდა ხელს, რომ ამ დროისათვის ისინი ბიზანტიის მოკავშირენი იყვნენ. VII საუკუნის დამდეგისათვის ლანგობარდებმა, რომლებიც მანამდე მრავალ ძველ-გერმანიკულ ტომთა დარად არიანელები იყვნენ, კათოლიკობა მიიღეს, რამაც, სხვათა შორის, ხელი შეუწყო მათ რომანიზაციას. ამ დროისათვის ლანგობარდებს იტალიის ჩრდილოეთით საკმაოდ დიდი ტერიტორიები ეკავათ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ დაბრუნდა თეოდორიხისა და ტოტილას დრო. ეს შთაბეჭდილება თანამედროვეთ კიდევ უფრო უნდა გაძლიერებოდათ, როდესაც 751 წელს ლანგობარდებმა ბიზანტიელებს **რავენა** (Ravenna), თეოდორიხის ყოფილი დედაქალაქი წაართვეს, მოგვიანებით კი თვით რომსაც დაემუქრნენ. ამის შემდეგ რომის პაპის მოწოდებით, ფრანკთა მეფე **პიპინ მოკლე** 754 და 756 წლებში მოაწყო ლაშქრობები ლანგობარდთა წინააღმდეგ და ეს უკანასკნელნიც იძულებულნი გახდნენ დაკავებული ტერიტორიები დაებრუნებინათ. ლანგობარდთა სამეფომ, როგორც დამოუკიდებელმა პოლიტიკურმა ერთეულმა, არსებობა შეწყვიტა მას შემდეგ, რაც 773-774 წლებში იგი ფრანკთა მეფე **კარლოს დიდმა** დაიპყრო და ფრანკთა სამეფოს, უფრო სწორად, კარლოს დიდის იმპერიის (როგორც მას ისტორიკოსები უწოდებენ ხოლმე), შემადგენელ ნაწილად აქცია. ეს მოხდა ლანგობარდთა მეფე **დესიდერიუსის** (Desiderius) დროს, რომელიც 756-774 წლებში მეფობდა. აღსანიშნავია, რომ ლანგობარდთა სამეფომ ორას წელზე მეტ ხანს იარსება — ბევრად უფრო დიდხანს, ვიდრე თეოდორიხ დიდის მიერ დაარსებულმა ოსტგოთთა სამეფომ იტალიაში.

* შდრ.აგრ. ზემოთ, გვ. ???.

როდესაც 843 წლის ვერდენის ხელშეკრულების შედეგად **კარლოს დიდის** შთამომავლებმა კარლოს დიდის იმპერია გაინაწილეს, ლანგობარდთა მიერ დაკავებული ტერიტორიები, რომელთაც ამ დროისათვის უკვე **ლანგობარდიას** (Langobardia) უწოდებდნენ, იტალიის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა. ეთნიკური უმცირესობის როლში აღმოჩნდარმა ლანგობარდებმა საბოლოოდ დაკარგეს ენა და ეროვნული ინდივიდუალობა, რის შემდეგაც, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე შეჭრილი არაერთი სხვა გერმანიკული ტომის მსგავსად, ადგილობრივ მოსახლეობას შეერწყნენ. იტალიის ჩრდილოეთს კი შერჩა სახელი **ლომბარდია** (Lombardia), რომელიც ტოპონიმ **ლანგობარდიის** დამახინჯებულ ფორმას წარმოადგენს და იტალიის ჩრდილოეთში ლანგობარდთა ყოფნის დროს უკავშირდება.

*

კიდევ უფრო დიდი როლი ითამაშეს ევროპის ისტორიაში **ფრანკებმა** (ლათ. Franci).^{*} V საუკუნეში დასავლეთ ფრანკები შეიჭრნენ **რომანიზებული გალიის** ტერიტორიაზე და დააარსეს აქ თავიანთი სამეფო, რომელსაც მოგვიანებით მათი სახელის მიხედვით **Francia** — „ფრანკების ქვეყანა“, „საფრანგეთი“ ეწოდა.

ფრანკები, უნდა აღინიშნოს, რაოდენობით ბევრად ჩამოუვარდებოდნენ გალიის გალო-რომანულ მოსახლეობას, რამაც ხელი შეუწყო მათ რომანიზაციასა და, საბოლოო ჯამში, სრულ ასიმილაციას. მაინც, ფრანკებმა დიდი ზეგავლენა მოახდინეს საფრანგეთის კულტურასა და თვით ფრანგულ ენაზეც. ფრანგულში საკმაოდ მრავლადაა შესული გერმანიკული, კერძოდ **ფრანკული**, სიტყვები,^{****} ბევრია ფრანკული წარმომავლობის ტოპონიმიც.

მაგ. **-ing** ე.წ. პატრონიმული სუფიქსის მქონე ტოპონიმები, როგორებიცაა, ვთქვათ **კარლინგი**, **ეპინგი** და სხვ. მოგვიანებით სუფიქსმა რომანიზაცია განიცადა და დღეისათვის გვევლინება ფორმით **-ange** ისეთ ფრანგულ ტოპონიმებში, როგორებიცაა **ბრულანჟი**, **ვოლმერანჟი** და ა.შ.

ხლოდვიგის სიკვდილის შემდეგ ფრანკების სახელმწიფოს ჰქონდა ისტორიის შედარებით წარუმატებელი პერიოდები, როდესაც ქვეყანა ცალკეულ ნაწილებად იშლებოდა ან თავის სამფლობელოთა გარკვეულ ნაწილს კარგავდა, და პერიოდები სიძლიერისა, როდესაც იგი ერთიანდებოდა და ახალ-ახალი მიერთებული ტერიტორიების ხარჯზე ფართოვდებოდა კიდევ, მაგრამ განსაკუთრებულ სიძლიერესა და სიდიადეს ფრანკთა სახელმწიფომ **კარლოს დიდის** მეფობისას მიაღწია.

კარლოს დიდი * (ლათ. Carolus magnus, ფრანგ. Charlemagne) იყო წარმომადგენელი **პიპინიდთა**, ანუ **არნულფინგთა** დინასტიისა, რომელსაც მოგვიანებით მისსავე საპატრივციემლოდ **კაროლინგთა** (ლათ. Carolingi) დინასტია ეწოდა. მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებია 2. IV. 742 — 28. I. 814. კარლოსი ფრანკთა მეფე იყო 768 წლიდან. ეს მონარქი ფართომასშტაბიან დაპყრობით ომებს აწარმოებდა: ებრძოდა **მავრებს** ესპანეთში, შემოიერთა აღმოსავლელ ფრანკთა მიწები (მომავალი **გერმანიის** სახელმწიფოს ტერიტორია), დაიპყრო ლანგობარდთა სამეფო იტალიაში, 772-804 წლებში იგი ეომებოდა

* მათი სახელი, სხვათა შორის, გერმანიკულად „თავისუფლებს“ ნიშნავს.

**** ამდგვარ ლექსიკაში განსაკუთრებით დიდია ომის თემასთან დაკავშირებულ სიტყვა-ტერმინთა წილი.

* ამ ისტორიული პიროვნების გერმანიკული წარმოშობის გათვალისწინებით, ალბათ აჯობებდა, მისთვის **კარლ დიდი** გვეწოდებინა.

ევროპის ჩრდილოეთში მცხოვრები **საქსების** ინგვეონურ ტომს. ეს სასტიკი და სისხლისმღვრელი საომარი კამპანია საბოლოოდ საქსების დამარცხებითა და იძულებითი ქრისტიანიზაციით დამთავრდა. ამ და სხვა ომების შედეგად ფრანკთა სახელმწიფო არნახულად გაიზარდა: კარლოს დიდის იმპერია (როგორც მას უწოდებენ ხოლმე) მოიცავდა ესპანეთის დიდ ნაწილს, მთელ დასავლეთ ევროპას (ბრიტანეთისა და სკანდინავიის გამოკლებით) და ცენტრალური ევროპის ნაწილს. თავისი ძლიერების ხაზგასასმელად კარლოს დიდი 800 წელს რომში ეკურთხა „რომის იმპერატორად“.

ინტერესს იწვევს კარლოს დიდის პიროვნება: თავისი პოლიტიკური და სამხედრო ძალმოსილების მიუხედავად იგი, თანამედროვეთა ცნობით, ცხოვრების ყაიდით, ქცევით, თავდაჭერითა და ჩაცმულობით უბრალო, უპრეტენზიო გერმანელ კაცად რჩებოდა, რომლისთვისაც ყოველგვარი ფუფუნება და პომპეზურობა არა მარტო არასასურველი, არამედ შემაწუხებელიც იყო. კარლოს დიდს გვიხატავენ როგორც გერმანიკული ჩვეულებების, კანონებისა და ტრადიციების მიმდევარსა და დამცველს. საინტერესოა, რომ როგორც გადმოგვცემენ, იგი მთელი თავისი უზარმაზარი სამფლობელოს ტერიტორიაზე აწერინებდა გერმანიკული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს: თქმულებებს, ლეგენდებს, საგმირო თუ მითოლოგიურ სიმღერებს; დაინტერესებული ყოფილა რუნებითა და რუნეკული წარწერებითაც. ამგვარად კარლოსს მეტად ვრცელი ბიბლიოთეკა შეუგროვებია. სამწუხაროდ, მთელი ეს ფოლკლორული საგანძური, რომელიც, საფიქრებელია, ჩვენამდე რომ მოეღწია, ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა გერმანიისტიკას და მნიშვნელოვნად გაამდიდრებდა ჩვენს ცოდნას გერმანიკულ ხალხთა ქრისტიანობამდელი სულიერი კულტურის შესახებ, კარლოს დიდის სიკვდილის შემდეგ პროზელიტური ენთუზიაზმის შეტევისას თითქმის მთლიანად გაუნადგურებია მის შვილს, **ლუდოვიკუს** (ფრანგ. ლუი – Louis) **ღვთისმოსავს** (ლათ. Ludovicus Pius),* როგორც „წარმართული“ და „არაქრისტიანული“. კარლოს დიდის პიროვნების დასახასიათებლად საინტერესოა ის ცნობილი ფაქტიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ თავად საკუთარი სახელის დაწერასაც გაჭირვებით ახერხებდა, ეს მონარქი განთქმული იყო, როგორც ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი. მის კარზე მოქმედებდა სწავლულთა წრე, რომელსაც, ტრადიციულად, „კარლოს დიდის აკადემიას“ უწოდებენ ხოლმე. ამ „აკადემიაში“ შედიოდნენ სახელგანთქმული ანგლოსაქსი ბერი და ფილოსოფოსი **ალკუინი** (Alcuin), ჩვენ მიერ უკვე ხსენებული ლანგობარდი **პაულუს დიაკონუსი** და სხვა მრავალი სწავლული ევროპის არაერთი ქვეყნიდან, მათ შორის თვით შორეული მოტლანდიიდან და ირლანდიიდანაც კი.

ასევე კარლოს დიდის დროს დაიწყო კულტურული აღმავლობა, რომელსაც „კაროლინგურ აღორძინებას“ უწოდებენ ხოლმე. კაროლინგური ხელოვნების განვითარების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს უფრო გვიანდელი **რომანული** და **გოტიკური** სტილი არქიტექტურაში და, განსაკუთრებით რამდენადაც საქმე გოტიკას ეხება, არა მარტო არქიტექტურაში, არამედ საერთოდ ხელოვნებასა და **დიზაინში** (თუკი შეიძლება ამგვარი ნეოლოგიზმის ხმარება შორეული წარსულის შესახებ საუბრისას).

კარლოს დიდის იმპერიას დიდხანს არ უარსებია: მისი სიკვდილის შემდეგ იგი, მრავალი სხვა იმპერიის დარად, დაიშალა. 843 წლის **ვერდენის ხელშეკრულების** თანახმად მისი ტერიტორია გაინაწილეს კარლოსის შვილიშვილებმა (ზემოთ ჩვენ მიერ ხსენებული მეტისმეტად რელიგიური **ლუდოვიკუს / ლუი ღვთისმოსავის** შვილებმა): **შარლ** (ან **კარლ**)

* ალბათ, ამ შემთხვევაშიც, უფრო მართებული იქნებოდა მოცემული სახელის გერმანიკული ფორმის „ლუდვიგი“ ხმარება.

მელოტმა, ლუდვიგ (გერმანიული წყაროების მიხედვით – Ludhuwig) **გერმანელმა** და იმპერატორმა **ლოთარ I-მა**. **შარლ მელოტს** იმპერიის დასავლეთი ნაწილი, მომავალი საფრანგეთი, ერგო, **ლუდვიგ გერმანელს** – აღმოსავლეთი (მომავალი გერმანია), ხოლო **ლოთარს**, რომელმაც იმპერატორის ტიტული შეინარჩუნა, – იტალია და ხმელეთის ვიწრო ზოლი **შარლ მელოტისა** და **ლუდვიგ გერმანელის** სამფლობელოებს შორის. ამ ისტორიული მომენტიდან იწყება ევროპის სამი ქვეყნის: **საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის** დამოუკიდებელი არსებობა. ლაპარაკიც კი ზედმეტია იმის შესახებ, თუ რა როლი ითამაშა **ფრანკების** დასავლეთგერმანიკულმა ტომმა ევროპის პოლიტიკური რუკისათვის თანამედროვე სახის მიცემაში.